არბიტრაჟი როგორც შრომითი დავების განხილვის ალტერნატიული მექანიზმი - პრობლემები და გამოწვევები საქართველოში

მარიამ გაფრინდაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ფაკულტეტზე კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო ნაშრომი

კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი კეკენაძე, მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ გაფრინდაშვილი

07.01.2020

აბსტრაქტი

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის, მათ შორის არბიტრაჟის, გამოყენება სასამართლოს გადატვირთულობის ფონზე დღითიდღე პოპულარული ხდება სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეებისთვის. სხვა კატეგორიის დავებთან ერთად, კანონმდებლობა ითვალისწინებს შრომითი დავების არბიტრაჟის მეშვეობით განხილვის შესაძლებლობას, თუმცა ამ კატეგორიის დავების თავისებურებები და სპეციფიკური ხასიათი იწვევს გარკვეულ პრობლემებს არბიტრაჟის მიერ შრომითი დავების განხილვისა და გადაწყვეტის დროს. ნაშრომში ყურადღება მახვილდება, სწორედ იმ პრობლემებსა და გამოწვევებზე, რასაც წარმოშობს არსებული კანონმდებლობა საქართველოში. აქცენტი, ძირითადად, კეთდება შრომითი დავების განხილვის თავისებურებების ანალიზზე, საარბიტრაჟო პროცესზე და არბიტრაჟის გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე. ასევე, თავად საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმასა და შინაარსზე. თითოეულ საკითხთან დაკავშირებით ხდება პრობლემების წარმოჩენა და მათი ანალიზი. გარდა აღნიშნულისა, პრობლემების უკეთ გამოსაკვეთად, განიხილება საერთაშორისო პრაქტიკა, შრომითი დავების არბიტრაჟუნარიანობასთან დაკავშირებით. მიმოიხილება სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო რეგულირება და მათი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. ნაშრომში თითოეულ პრობლემასთან დაკავშირებით წარმოდგენილია გარკვეული რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებასაც პრაქტიკული მნიშვნეობა აქვს.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ სათანადო საკანონმდებლო ჩარჩოს განსაზღვრის გარეშე, რთული იქნება არბიტრაჟის მიერ შრომითი დავების განხილვის პროცესში საერთაშორისოდ აღიარებული შრომის სტანდარტებისა და სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის დაცვა, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შრომით დავებში არსებული დისბალანსის დაცვის კუთხით.

საძიებო სიტყვები: შრომითი დავა, არბიტრაჟუნარიანობა, დასაქმებულის უფლებები, ბუნებრივი დისბალანსი, „სუსტი მხარე“.

Abstract

The use of alternative dispute resolution mechanisms, including arbitration, has become increasingly popular with litigants in the face of litigation. Along with other categories of disputes, the legislation provides for the possibility of reviewing labor disputes through arbitration. However, the peculiarities and specific nature of disputes in this category cause certain problems in the arbitration proceedings and the resolution of labor disputes. The paper focuses on the problems and challenges posed by this possibility of legislation in Georgia. Emphasis is mainly placed on the analysis of the peculiarities of labor dispute resolution, the arbitration process and the notification and enforcement of the arbitral award. As well as the form and content of the arbitration agreement itself. Problems with each issue are presented and analyzed. In addition, in order to better solve the problems, an analysis of international practice on the arbitrariness of labor disputes is being made. Legislative regulation of different countries and their attitudes towards this issue will be reviewed. The paper presents some recommendations for each problem, the consideration of which is of practical importance for the development of opportunities in Georgia.

The results of the study show that without defining a proper legislative framework, it will be difficult for the arbitral tribunal to adhere to internationally recognized labor standards and practices established by the courts in the course of labor disputes. Which is crucial in maintaining the imbalance in labor disputes.

Keywords: Labor Dispute, Arbitration, Employee Rights, Natural Imbalance, „Weaknesses“.